№ 123

კვირა, 22 ივნისი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| [illegible] | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 1 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 1 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 123

კვირა, 22 ივნისი 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კბილის ექიმი

ვ. ი. ჭიჭინაძე

ნიკოლოოზის ქუჩა, 21 („ივერიის“ რედაქციის ქვეშ).

ქართული საერო ხორო

ალ. კავსაძის ლოტბარობით და ივ. მჭედლიშვილის გამგეობით ახლად შეკერილ ქართულ ქულაჯებით გამმართავს

კონცერტს

გორში—პარასკევს, 20 ივნისს, დ. ზესტაფონში—შაბათს, 21 ივნისს, ქუთაისში—კვირას, 22 ივნისს, დ. სამტრედიაში—ორშაბათს, 23 ივნისს, დ. ახალ-სენაკში სამშ., 24 ივნისს, ფოთში—ოთხშაბათს, 25 ივნისს, ბათუმში—პარასკევს, 27 ივნისს, სოხუმში—კვირას, 29 ივნისს, ქობულეთში—სამშაბათ, 1 მკათათვეს დ. ხაშურს—ოთხშაბათს, 2 მკათათვეს.

(2—უ—2)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი და შინაგანი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულება დედ:ნ დათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულ მკერდისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ზ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისდა ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

## მთავრობის განკარგულებანი

### მომხმარებელ საზოგადოებათა ნორმალური წესდება

(შემდეგი *)

§ 16. წილის რაოდენობის განურჩევლად ყოველს წევრს საზოგადოებისას საზოგადო კრებაზედ მხოლოდ ერთის ხმის უფლება აქვს; წევრს უფლება არა აქვს თავისი ხმა სხვას გადასცეს.

შენიშვნა 1. საზოგადოების უწლოვანს წევრებს საზოგადო კრებებზედ ხმის უფლება არ ეძლევათ და არც საზოგადოების საქმეთა მმართველ-გამგეობის თანამდებობაზედ იქმნებიან არჩეულნი.

შენიშვნა 2. როდესაც საზოგადოების საქმეს, მაგალითად, საქონლის მისყიდვას, შენობის დაქირავებასა და სხვა სავაჭრო ხელშეკრულობათ, რომელიმე წევრი ასრულებს, მაშინ მას უფლება არა აქვს საქმის გარდაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს.

§ 17. წევრს შეუძლიან თავისი წილი, გამგეობის თანხმობით, საზოგადოებისავე წევრებს გადასცეს, ან გარეშე კაცს, თუ იგი წევრობის უფლებას მოკლებული არ არის; როდესაც წილს გარეშე კაცი იღებს, იგი მოვალეა შირველ-დასაწყისი გარდასახადი შეიტანოს საზოგადოებაში.

შენიშვნა. შირველ-დასაწყისი გარდასახადი წევრს უკან აღარ უბრუნდება, არც მაშინ, როდესაც წევრი თავისის ნებით ანებებს თავს საზოგადოებასა და არც მაშინ, როდესაც თვითონ საზოგადოება გამორიცხავს.

§ 18. საზოგადოების ზარალში თითოეული წევრი მხოლოდ საზოგადოების კასსაში წარდგენილ თავისს საწილო ფულით არის პასუხის-მგებელი; ამის გარეშე იგი საზოგადოების საქმეებში არაფრით არ აგებს პასუხს—არც პირადად და არც სავალდებულო დამატებით გარდასახადით.

§ 19. წევრი, რომელიც საზოგადოების კასსაში წარსადგენს გარდასახადს (§§ 3 და 13) თავისს დროზედ არ წარადგენს, გამგეობის წინადადებით საზოგადო კრებისაგან შეიძლება გამორიცხულ იქმნას წევრობიდგან.

§ 20. თავისს დროზედ გარდასახადთა წარუდგენლობისა გარდა წევრი შეიძლება გამოირიცხოს მაშინაც, როდესაც წესდებას დაარღვევს, ან შენიშნული იქნება, როგორც მავნებელი წევრი საზოგადოებისა და მისის ინტერესებისა.

§ 21. წევრის გამორიცხვა საზოგადო კრების (§ 31) დამსწრე წევრთა $^2/_3$ განაჩენით შეიძლება მხოლოდ; ამასთანავე საზოგადო კრება ვალდებულია, თუ გამორიცხული წევრი მოისურვებს, ყველა მის მიერ წარდგენილი გასამართლებელი საბუთები მოისმინოს.

§ 22. როგორც გამორიცხულთ, ისე თავისის ნებით საზოგადოებიდგან გასულს წევრებს და აგრეთვე იმათ, ვისაც რამდენიმე წილი აქვს, მათ მიერ საზოგადოების კასსაში წარდგენილი წილის ფული, ხვედრი დივიდენდი და ნავაჭრ საქონლის პრემია შეიძლება გამგეობამ უკანვე დაუბრუნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ამის სურვილს განაცხადებენ წერილობით და საზოგადო კრება მიმდინარე სავაჭრო წლის ანგარიშს დაამტკიცებს; ამასთანავე საზოგადოებამ ჯერ ყველა ანგარიში უნდა გაასწოროს, საზოგადოების ზარალის შესავსებად ხვედრი ფული გამოურიცხოს წევრს წილის ფულიდგან და მხოლოდ შემდეგ დაუბრუნოს ზემოდ აღნიშნული ფული. ფულის მიცემის ვადა საზოგადო კრებისაგან არის დადგენილი, მაგრამ ანგარიშის დამტკიცების დღიდგან სამს თვეს არ უნდა გადააჭარბოს ამ ვადამ.

§ 23. წევრნი, რომელნიც თავისის ნებით დაანებებენ საზოგადოებას თავს, ან გარდასახადთა თავისს დროზედ შეუტანლობისა გამო გამორიცხულ იქმნებიან, შეიძლება კვლავ იქმნან მიღებულნი, თუ თანახმად 13-§-სა, სავალდებულო წილის ფულსა და შირველ-დასაწყისს გარდასახადს წარადგენენ. ხოლო სხვა მიზეზით გამორიცხულ წევრთ უკან არავითარს შემთხვევაში არ მიიღებენ.

შენიშვნა. გარდასახადთა თავისს დროზედ შეუტანლობისა გამო გამორიცხულნი წევრნი, გარდა ამისა, მეორედ შესვლის დროს მოვალენი არიან მათზედ დარჩენილი საზოგადოების ვალი ამ თავით შეიტანონ.

§ 24. წევრის სიკვდილის დროს მთელი მისი წლის ფული, აგრეთვე დივიდენდი და ნავაჭრ საქონლის პრემია წევრის მემკვიდრეთ ეძლევათ იმავე წესითა და რიგით, როგორც თავისის ნებით საზოგადოებიდგან გასულთ წევრთ (§ 22).

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“, № 122.

## ახალი ამბავი

—

⁂ ტფილისის მცხოვრებს პავლე ოდიკაძეს, ხელობით დურგალს, გამოუგონია და გაუკეთებია სულ ახალი კევრი. ამ კევრს კაჟის მაგიერად წვრილი ხერხები აქვს ჩასმული რიგრიგად ისე, რომ მარტო კბილები მოჩანს ქვემოდგან. ოდიკაძე ამბობს, შარშან გამოვცადე კალოზედ და ამ კევრით ლეწვა ერთი ხუთად უფრო ადრე და ადვილად მოვასწარიო. კევრი სრულებით არ აზიანებს მარცვალსა ოთო კევრსით. მარტო ხუთის მანათის წვრილი ხერხი უნდება. ამგვარად სულ დიდი კევრი პავლე ოდიკაძისა ერთ თუმანზედ მეტი არ ეღირება. თვით პავლე ოდიკაძემ სთქვა: ფიქრადა მაქვს კევრი ისე მოვმართო ველოსიპედთან, რომ ერთს კაცს შეეძლოს გალეწვა და მაშინ კალოსთვის აღარც ხარი იქმნება საჭირო და არც ცხენიო.

კევრის ნახვა შეუძლიან ყველა მსურველს პავლე ოდიკაძის საკუთარ სახლში, ტფილისში, ნორიოს ქუჩაზედ, № 18.

⁂ როგორც ვიცით, ექიმებმა აბესალომ ჩარკვიანმა და ვერლამ ჭიჭინაძემ თხოვნა შეიტანეს იმის შესახებ, რომ მთავრობამ ნება დართოს კბილის და პირის სხვა ნაწილების სამკურნალოს დაარსებისა. წესდება „კავკასიის სამოქალაქო უწყების სამკურნალო ნაწილის“ მმართველობამ უკვე მოიწონა და მალე იქნება გაგზავნილი შინაგან საქმეთა სამინისტროში დასამტკიცებლად. ის ამბავიკი, რომ როგორც გუშინ სწერდა გაზ. „კავკასი“, ვითომ წესდება უკანვე დაებრუნებინოთ, სიმართლეს მოკლებულია. მხოლოდ შეცვლილ უნდა იქმნას ერთი უმნიშვნელო მუხლი წესდებისა, რომლის შესახებაც უკვე შეეკითხნენ სამკურნალოს დაარსების მსურველთ და საქმე გამოირკვა კიდეც.

⁂ 18 ივნისს როგორც წინადაც გვქონდა მოხსენებული, საყასბოზე დაჰკლეს რამდენიმე წვრილ-ფეხა და მსხვილ-ფეხა საქონელი ხორცის მაზანდის გამოსარკვევად. სულ დაკლულ იქმნა 11 სხვა-და-სხვა ჯიშის ხარი და 6 ცხვარი. გამოირკვა, რომ ერთი გირვანქა ძროხისა და ხარის ხორცი ყასბებს უჯდებათ 6, 72 კ., ხოლო ცხვრისა—6, 89 კაპ.

⁂ პარასკევს, 20 ივნისს, ტფილისის გუბერნატორმა წარუდგინა კავკასიის მთავარ-მართებელს ის საჩივრები, რომლებიც ტფილისის გუბ. თავად-აზნაურთა კრების შესახებ იქმნა შეტანილი.

⁂ გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულო ქალაქის ხმოსანთა ამორჩევის შესახებ საჩივრებს განიხილავს მომავალ კვირას.

⁂ უმაღლესს მთავრობას აზრადა აქვს შემოიღოს კავკასიაში ჭირიანის საქონლის დაკვლის წინააღმდეგ კანონი.

⁂ პარასკევს, 20 ივნისს, კავკასიის კორპუსის უფროსად ნამყოფი, კავალერიის გენერალი, თავ. გ. ამილახვარი გამოეთხოვა ავლაბარში კავკასიის საგრენადერო დივიზიას.

⁂ დღეს, 22 ივნისს, სემინარიის რექტორი მ. სერაფიმი აკურთხებს ახლად შეკეთებულს პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკკლესიას ავლაბარში. სამზრუნველოს აზრად აქვს მერმის ეკკლესიასთან წერა-კითხვის სკოლა დააარსოს.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერის თანაშემწე ს. ს. სოკოლოვსკი ორი თვის ვადით განთავისუფლებულ იქმნა სამსახურიდგან. იმის თანამდებობის აღსრულება მიენდო მე-4 ნაწილის ბოქაულს ნ. ს. ლოლაძეს.

⁂ მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოსს შარშანვე შეუთვლია ქალაქის გამგეობისათვის, რომ მომავალს პირველს აგვისტოს წყლის კურთხევისათვის საჭირო ფარდული მოამზადოს იმ ადგილას, სადაც წინად სომხებსა ჰქონდათ იორდანე გამართული, მადათოვის კუნძულის ქვემოთა მხარეს, ვანქის პირდაპირ. 18 ივნისს მამა ელიევს ხელ-ახლა მიუმართავს ქალაქის გამგეობისათვის და უთქვამს, განკარგულება მოახდინეთ, რომ ხსენებულ ადგილზე აშენებულ იქმნას პირველ აგვისტოსთვის იორდანეო.

გუშინ, 21 ივნისს, ქალაქის გამგეობამ შეატყობინა მამა ელიევს, რომ ხსენებული ადგილი ქალაქს არ ეკუთვნის და ამიტომ არ შეგვიძლიან იქ გავმართოთ იორდანეო. გარდა ამისა, იმ ადგილზე გასვლა მხოლოდ ხიდის შემწეობით შეიძლება, რომელსაც სომხის სამღვდელოება დროებით გააკეთებს ხოლმე ყოველ წყალკურთხევის დროსაო.

ამიტომ ქალაქის გამგეობა იმ აზრისაა, რომ წყლის კურთხევა იქ იქმნას გარდახდილი, სადაც შარშან იყო, ე. ი. ალექსანდრეს ბაღში და ან მადათოვის კუნძულთან, სადაც ჩვეულებრივ იმართება მართლ-მადიდებელთა წყალ-კურთხევაო.

⁂ ამ ჟამად ტფილისში იმყოფება იურიევის უნივერსიტეტის პროფესორი ბ-ნი თ. ი. ლევინსონ-ლესსინგი.

⁂ ნიკოლოზ ჩემოდანოვის ბაღის მოიჯარადრეს, ალექსი ჩხენკელიას საჩივარი შეუტანია ქალაქის თვითმართველობაზედ და თხოულობს, რომ ქალაქმა უნდა მიზღოს ის ზარალი, რომელიც მომივიდა ბაღეულობისა და ბოსტნეულობის ნათესის წალეკვით ნავთლუღში გამგეობისაგან თხრილის გაუმაგრებლობისა გამო.

⁂ ჩვენ გვწერენ სამურზაყანოდგან: წარსულს წელიწადს კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლების მეთვალყურემ მღ. მ. კავჟარაძემ რუსის პედაგოგების წიგნების მაგიერად რამდენსამე სკოლაში ი. გოგებაშვილის „Русское Слово“ შეიტანა სახმარებლად. რადგანაც მოწაფეებმა ზევრად ადვილად შეისწავლეს რუსული ენა ამ სახელმძღვანელოთი, ამიტომ მ. კავჟარაძემ ყველა თავისს ხელქვეით სკოლები-

სათვის ხსენებული „Русское Слово“ დაიბარა.

ამასთან მღ. მ. კავკარაძემ სოხუმის საეპარქიო სამრევლო სკოლების მეთვალყურეს მღ. ისტრებოვსაც ურჩია, რომ სამრევლო სკოლებშიაც ხსენებული სახელმძღვანელო იხმარონ. მღ. ისტრებოვი წინააღმდეგი არ არის და შეიძლება მომავალის წლიდგან მთელის სამურზაყანო-აფხაზეთის სკოლებში „Русское Слово“ შემოიღონ სახმარებლად.

*** ს. ჯუმათი (ოზურგეთის მაზრა): აქ არის ერთ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, რომლისთვისაც რიგიანი და კარგი შენობაა აგებული სოფელში. სწავლა-განათლების წყურვილი დიდია, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ერთი ხეირიანი მასწავლებელი არ გვეღირსა, რომ სწავლა-განათლების საქმე რიგიანად წარმართოს. ან კი როგორ წამოვა ჩვენს სოფელში ხეირიანი მასწავლებელი, როდესაც ჯამაგირი 250 მან. მეტი არა აქვს. სოფლის გულშემატკივარნი სრულიად არ აქცევენ ამ გარემოებას ყურადღებას და ამიტომ ბავშვებს ვერაფერი ცოდნა გამოაქვთ სასწავლებლიდგან.

*** ჩაქვა. ამ რამდენიმე დღის წინად იაპონიიდგან ბამბუკისა Dioskani-სა და მანდრინის მრავალი სხვა და სხვა მცენარე მიუღიათ. მიუხედავად იმისა, რომ მცენარეთა უმეტესს ნაწილს 2 თვეზედ მეტი დაუყვია მგზავრობაში, თურმე საშინლად კარგად უხეირნიათ.

აგერ თითქმის თვენახევარია გვალვაა და ცის ნამი თვალით არ გვინახავს, მაგრამ ჩაის არაფერი ჰვნებია ამ გვალვისაგან, რაიცა დიდად საკვირველადა და საოცრად თურმე მიაჩნიათ ჩაის მოყვანის საქმის კარგად მცოდნეთ.

ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს, თუ ჩვენი შავის ზღვის ნაპირის ადგილები რამდენად დაუფასებელნი და ძვირფასნი არიან. ვისურვებთ, რომ ჩაის მოყვანა მეზობლად მცხოვრებ ქართველებსაც შეესწავლოთ და ადრე და მალე იგი მთელის შავის ზღვის პირს მცხოვრებთა შორის გავრცელებულიყოს.

*** ბათუმი. ზოგიერთმა აქ მცხოვრებლებმა თხოვნა მიართვეს ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსს და სთხოვენ შესაფერი განკარგულება მოახდინეთ, რომ „თამარის ციხესთან“ რამდენიმე წუთით გაჩერდეს ხოლმე მატარებელი და სადგურისათვის საჭირო ბაქანის აშენებას ჩვენ ვიკისრებთო. ეს ადგილი საუკეთესოა სააგარაკოდ იმ უცოლ-შვილო მოხელეთათვის, რომლებიც იძულებულნი არიან მთელი ზაფხული ქალაქში გაატარონო.

*** კახეთი. 1 ივნისს მოვიდა მეტად საშინელი სეტყვა და სულ ერთიან გაანადგურა წინანდლისა, შალაურისა, კისის ხევისა და კონდოლის ვენახები. სეტყვამ მთელი ნახევარ საათი გასტანა და, ვენახებს გარდა, ძლიერ დააზარალა მინდვრის ნათესი და ხეხილი („კავკასი“).

*** ქ. გორი. 16 ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზე, მეჯვრისხევის ქუჩაზე, ანდრონიკაშვილის სახლებში, თავი მოიკლა რევოლვერით 16 წლის ქალიშვილმა, აქციზის ზედამხედველის თანაშემწის ასულმა მარიამ ფონდიტმარმა. ტყვია საბრალოს მარჯვენა საფეთქელში მოხვედრია და მაშინვე სული დაულევია.

*** მლაშე (დუშეთის მაზრა), აქ შინაურ საქონელს რაღაც ავადმყოფობა გაუჩნდა, რომელმაც უკვე რამდენიმე სული იმსხვერპლა. აქაურმა ბეითალებმა ამ ავადმყოფობას „ჩუჩუნა“ დაარქვეს, მაგრამ შესაძლებელია, რომ იგი ციმბირის ჭირი იყოს. ავადმყოფი საქონელი სულ რამდენსამე საათს არა სცოცხლობს. გლეხკაცები ტყავს აძრობენ დახოცილს საქონელს და ზოგჯერ ხორცზედაც არ ამბობენ უარს, ესკი ძალიან საშიშია, როგორც ხალხისთვის, აგრეთვე საქონლისთვის. ჭირი დორებსაც გადაედოთ, რადგანაც მელორეები ხშირად აჭმევდნენ დახოცილ საქონლის ლეშს და გადმონაყარს. ავადმყოფს ღორს მაშინვე ჰკლამენ და ხორცსა სჭამენ. („ტფ. ფურცელი“)

*** ჩვენ შეცდომით გვქონდა გამოცხადებული, რომ თავადმა ნიკოლოოზ ზურაბის ძემ ჭავჭავაძემ სამურზაყანოში ბანკის დასაარსებლად 20,000 მან. შესწირაო. ეს შეცდომა გაგვისწორა გაზ. „კავკას“-მა და განაცხადა, რომ ეგ ფული თავად დავით სულხანის ძემ ჭავჭავაძემ შესწირაო და ჩვენც ამას შესაფერად გავასწორეთ შეცდომა. თურმე ამ პატივცემულს გაზეთსაც შესცდენია და ნამდვილად ეს ფული შეუწირავს თავადს დიმიტრი სულხანის ძეს ჭავჭავაძეს და არა თავ. დავით სულხანისძეს.

*** 14 ივნისს, სიღნაღის მაზრის, ბოდბის ბოლოში, მდ. იორის მახლობლად ვიღაც თათრებს 10 ცალი მსხვილ-ფეხა საქონელი მოუპარავთ, რომელიც ბოდბის მცხოვრებელთ მღვდელს სპირიდონ კობიაშვილს და ილიკო ბიბილაშვილს ეკუთვნოდა.

*** 14 ივნისს გორის მაზრის სოფ. ბერშუეთის მცხოვრებელი შიო მრეხაშვილი, გორის სადგურის მახლობლად, მტკვარში დამხრჩვალა.

*** 11 ივნისს ტფილისის მაზრის სოფ. საგარეჯოს მცხოვრებლის აზნაურის გიორგი ბაკურაძის სახლში შეპარულან ვიღაცა ქურდები და მოუპარავთ 600 მანეთი ფულად, 360 მანეთის თამასუქები და სხვა ქაღალდები და ერთი ვერცხლის ჰიქა. ეჭვი გიორგი ბაკურაძემ თავისს მეზობელ დარია ბაქრაძეზედ შეიტანა, რომელმაც, როდესაც მამასახლისი მოვიდა და სახლის გაჩხრეკა დააპირა, მოპარული ყუთი გამოაჩინა და სთქვა, რომ ვიღაცამ ჩემ კარებ წინ დააგდოო. ყუთში 600 მანეთის გარდა, ყველაფერი აღმოჩნდა.

## შეცდომის გასწორება

ჩვენს გუშინდელს გაზეთში დაბეჭდილს „ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოების“ ანგარიშში ერთი კორექტურული შეცდომა შეგვპარვია: ჯამი პასსივისა იმდენივე უნდა იყოს, რამდენიც აქტივისა 153 428 მან. 69 კაპ.

## ფოთის ნავთ-სადგურის შეკეთება.

ფოთის ნავთ-სადგურის შეკეთების საქმის განხილვას გზათა სამინისტროს გადაწყვეტილი ჰქონდა ამა მდგომარე წელს შესდგომოდა. სამინისტროში შემუშავებულის გეგმის თანახმად, განზრახული იყო ახალის ნავთ-სადგურის გათხრა, აწ არსებულის ნავთ-სადგურის გვერდზედ, იმდენად დიდისა, რომ სამი მოზრდილი გემი ერთსა და იმავე დროს თავისუფლად მოთავსებულიყო შიგ. შემდეგ, ზღვიდგან აწ არსებულის ნავთ-სადგურში შესვლის პირობების გასაუმჯობესებლად, განზრახული იყო განაპირა შემამაგრებელის შენობების შეკეთება. ფოთის ქალაქის გამგეობამ სთხოვა მთავრობას ნება მიეცა იმას აეშენებინა შიდა ნავთ-სადგური, მთავრობის კონტროლის ქვეშ. ამასთანავე გამგეობამ სთხოვა, 1,400,000 მანათის სესხის აღების ნება ამ საქმეზე მოსახმარებლად. უმაღლესად დამტკიცებულის 1896 წელს 21 ივნისს, მინისტრთა კომიტეტის დადგენილებით, ეს შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა, მხოლოდ იმ პირობით, რომ მთავრობას უფლება აქვს, როცა მოისურვებს, თვით ისარგებლოს როგორც შიდა ნავთ-სადგურით, აგრეთვე ყველა შენობებით, რომელიც იქ იქმნება აგებული. მიუხედავად ამისა, ზღვიდგან ნავთ-სადგურში შესვლის პირობები უწინდელ მდგომარეობაში რჩება, ე. ი. ზღვის ღელვის დროს ნავთ-სადგურში შესვლა ძნელი და შეუძლებელია. ამის შესახებ შემუშავებული მოსაზრებანი 1896 წ. გადაეცა განსახილველად გზათა სამინისტროს ინჟენერთა საბჭოს. საბჭომ დაადგინა: ფოთის ნავთ-სადგურის გარეგან შენობების შეკეთება მომხდარ იქმნას იმ პროექტის მიხედვით, რომელიც ხსენებულ ნავთ-სადგურის სამუშაოთა უფროსმა შეიმუშავა, სახელდობრ, გაუქმებულ იქმნას აწ არსებულ ნავთ-სადგურში შესასვლელი გზა და იმის ნაცვლად გაითხაროს ახალი, რომლის სიღრმეც 30 ფუტი უნდა იყოს და რომელიც შემაგრებული იქმნება ახალის ბურჯებით. ამ ბურჯების ამორჩევა მიენდოს საკომერციო ნავთ-სადგურების ამშენებელ კომისიას. იმავე კომისიამ უნდა წარადგინოს დასამტკიცებლად გზათა სამინისტროში ფოთის ნავთ-სადგურის განზრახულ შენობების შეკეთებისათვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. მიქელ-გაბრიელი** (გურია), 13 ივნისი. თვე ნახევარი, თუ ორი თვე იქნება, რაც „მიწას გაძღომა არ ჰღირსებია“. არამც თუ ჩვენს სოფელს, არამედ მთელს გურიას ამ ჟამად უწვიმობით სული ამოსდის. ჩვენ ზღვისპირელები ვართ და თუ ჭაური სველი არა გვაქვს, ცხოვრება გვიჭირდება. ხანდახან გადამეტებული სინოტივე საქმეს გვიჭირებს, ახლა-კი ორის თვის გამუდმებულმა გვალვებმა ხული ყელში მოაყენა. მაისი ისე გავიდა, რომ ცვარი წვიმა არ ჩამოვარდნილა; ვფიქრობდით, ივნისი გვიხსნისო, მაგრამ ისიც წინანდელის თვის ანდერძს ჯერ-ჯერობით მტკიცედ ინახავს. აგერ შუა ივნისია და გახურებული ბუღი დგას. გურიაში ივნისი და აგვისტო წვიმების თვეებია; წელს-კი ყველაფერი „ალთა-ბალთას“ გზას ადგა. წახდა საქმე... მშვიდობით წრეულს მხვნელ-მთესველის ბედ-იღბალო! სინესტეს მიჩვეული მიწა გვალვების გამო დასკდა. ჩაჭკირკიტებს ჩვენი გლეხი დედა-მიწას თავისის „ადამის წლის“ მამა-პაპა—მეჭეჩას ნაანდერძევ გაა-სახნისით, მაგრამ ვერას გამხდარა. „დაგვლოცა ღმერთო, სახელი! მიწას კბილს ვერ შემოასობს კაცი და თოხ-სახნისს რაღა შეუძლიაო!“ ამბობს სასოწარკვეთილებით ილაჯ-გაწყვეტილი გლეხი. „რაცხა-კი ჩავთესე თითო ტორი სიმინდი დახეთქილ დაფუფრუშულს მიწაში, მარა კი ვიცი გვალვა სიკეთეს არ დააყრისო“ იძახის მეორე. უწინ მაისის ბოლოს დათესილს სიმინდს „ნაგვიანევს“ ეძახდნენ, წელს-კი გვალვის გამო თესვამ აქამდეც-კი გასტანა. ვის რა ხეირს დააყრის ახლანდელი ნათესი! მაისში დათესილი და ახლა ჯეჯილებად გადაქცეული ადგილები ძალიან გაჭირვებაშია; სიმინდს წვიმა და ნოტიო უნდა. თუ ეს პირობა მოაკლდა, იმისი ზრდა წამხდარია. „ზვგანი“ მეტად ცუდ მდგომარეობაშია. ამოსულ სიმინდს „ზვგნის“ თიხამ ძირში მოუჭირა და მიწას ზევით აღარ აცდის. „ტალახა მერგების“ (ნოტიო დაბლობები და ღელის პირები) საქმე-კი კარგად არის, მაგრამ მარტო ეს რას გვიშველის.

გვალვების გახშირების მიზეზთა შორის ჩვენი ტყეების გაჩეხვას თვალ-საჩინო ადგილი უჭირავს. ტყის გაჩეხვის შედეგია აგრეთვე უკანასკნელ წლებში შემოჩვეული წინად უცნობი დარის ცვალებადობა: ხან გვალვა გვარჩობს, ხან ნიაღვრებად მოვარდნილი წყალი წარეკვას გვიქადის, როგორც, მაგალითად, წარსულ წლებში წყალ-დიდობის გამო ბევრი ჩვენი ნათესვარი ჩვენი სურვილის წინააღმდეგ შავ-ზღვას შეუერთდა; წელს ჩვენს „ღელეებში“ „ბაყაყიც ფეხს ვერ დაისველებს“. რა უნდა ჰქმნას გლეხმა, როცა, სხვა სიკეთის გარდა, ბუნებაც მას გადუმტერდა, როცა „მებატონეც მას სწოვნის, ჭინჭველაც მისი მტერია!“ მუშაობს გლეხი... ჯერ ველური ღორი და დათვი აართმევს ჩვეულებრივს ბაჟს, შემდეგ მიწის პატრონი „საყანურს“, მეველე „ნამეველევს“, დანარჩენი-კი აბაზად ან ხუთ შაურად ფუთი მადა-გაღვიძებულს ვაჭარს მიაქვს.

წლევანდელმა წელიწადმა მარტო ხვნა თესვის ზიანს არ დაგვაჯერა. გახურებულმა ჭაერმა აქა-იქ ცეცხლის გაჩენას შეუწყო ხელი. ამას წინად გაუჩნდა ცეცხლი ს. სამღვთოზედ მოდებულს უღრან ტყეს, რომელიც ან. ქ—ძეებს ეკუთვნის. წიფელა, წაბლი, მუხა, საწნელე შკერი და მრავალი სხვა სასარგებლო ხე უსარგებლოსთან ერთად ამოიბუგა. ზოგან ახალი ნათესი ყანებიც ამოსწვა. ამბობენ, აქა-იქ ცეცხლმა შარშანდელი სიმინდით სავსე ტყის ყანების „ნალიებიც“ (სასიმინდეები) იმსხვერპლაო. ცეცხლმა საკმაოდ დიდი მანძილი მოიარა; სწორედ იმ დროს ამოვარდნილმა ქარმა ცეცხლის გაძლიერებას ხელი შეუწყო. ბოლოს ს. სამღვთოც საშიშს მდგომარეობაში იყო, მაგრამ ქარი ჩავარდა და ცეცხლიც შესდგა. ათი-თხუთმეტი დღე თუმცა ქარი არ ყოფილა, მაინც იწოდა ტყე და მიწა, სანამ იქაურობა სულ არ ამოიბუგა. სადგურ ნატანების ახლო რამდენიმე დღეს იწოდა სახელმწიფო ტყე. ზარალი, როგორც ამბობენ, რამდენიმე ათასს მანეთს აღემატება. ამბობენ, მთავრობამ ადგილობრივ მცხოვრებლებზედ მიიტანა ცეცხლის გაჩენის ეჭვიო და კვლევა მიებაც დაიწყოო. ძნელად დასაჯერებელია, რომ ადამიანს ემოქმედოს ასეთი სამაგლი საქმე. ადვილად შეიძლება ცეცხლი თავისთავად გაჩენილიყოს. ასეთი მოვლენა ხშირად მოხდება ხოლმე, მით უმეტესს ჩვენში, სადაც ბუნება ხელს ძლიერ უწყობს და ამინდიც შესაფერი შეხვდა.

ვ. სეფისპირელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

დიდი ხანია კავკასიის ჟურნალ-გაზეთობამ ჩვენი ერობის შემოღების შესახებ ლაპარაკი აღძრა; კარგა ხანია თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებამაც მიაქცია ყურადღება ამ დიდ-მნიშვნელოვანს საგანს. ხსენებულის საგნის შესახებ ამ ბოლოს დროსაც ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ რაღაც უგულოდა და უმადლოდ ეპყრობა მას ჩვენის საზოგადოების უმეტესი ნაწილი, თუმცა სარგებლობა ხსენებულის დაწესებულებისა, რომელმაც მთელის რუსეთის საზოგადოებას სამაგალითო სამსახური გაუწია და რომელიც დღესაც კიდევ ბევრს სიკეთესა და სამსახურს უქადის, ყველასათვის ნათელია.

ჩვენის თავად-აზნაურობის წრევანდელს საზოგადო კრებას, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, თავ. გ. მ. თუმანოვმა თავისი მოხსენება წარუდგინა ერობის შემოღების შესახებ და ამ საგანმა კვლავ ლაპარაკი გამოიწვია. აზრი სხვა-და-სხვა იქმნა წარმოთქმული. საგანი გულდადებით არ იქმნა გასინჯული და მის საფუძვლიანად განსახილველად კომისია ამოარჩიეს. მაშასადამე, ჯერ კიდევ დრო და ხანი გაივლის, ვიდრე თავად აზნაურობა ერობის შესახებ თავისს გარდაწყვეტილს აზრს წარმოსთქვამდეს.

ჩვენის აზრით, საყურადღებოა ვიცოდეთ, მთავრობა როგორ უცქერის ერობათა დაწესებულებათ, უმართავს ხელს, თუ აბრკოლებს. ამისი პასუხიც.

როგორც გაზ. „კავკ.“-ის გუშინდელს №-შია მოხსენებული, თავად-აზნაურთა კრებაზედ ერობის შესახებ კვლავ აღძრულს საგანს კავკასიის მთავარ-მართებლის ყურადღება მიუქცევია და თავად გოლიცინს ტფილისის გუბერნატორისათვის გაუგზავნია პირი იმ მოწერილობისა, რომელიც მას შინაგან საქმეთა მინისტრისაგან მიუღია სტავროპოლის გუბერნიაში ერობის დაწესებულების შემოღების შესახებ. შემოღების ეჭვი არ არის, იმ აზრით, რომ საგუბერნიო მართველობამ და საზოგადოებამ ყურადღება მიაქციონ, აი, რასა სწერს შინაგან საქმეთა მინისტრი:

კეროპის რუსეთის 34 გუბერნიაში ერობის დაწესებულებათა დებულების შემოღების დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს მინდობილი ჰქონდა, რომ იგი სცდილიყო და ხსენებული დებულება იმპერიის დანარჩენს გუბერნიებშიაც შემოეღო. მაგრამ ეს განზრახვა შესრულებულ ვერ იქმნა ზოგიერთ გუბერნიის შესახებ იმიტომ, რომ იმ დროის საპოლიტიკო გარემოებანი ნებას არ იძლეოდა, ხოლო სხვა გუბერნიებს თავისი განსაკუთრებული ადგილობრივი დამაბრკოლებელი მიზეზები ჰქონდა. დღეს კი რაიმე ცვლილების შეტანა იმ გუბერნიებში, სადაც ერობის დებულება შემოღებული არ არის, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რადგანაც ადგილობრივ მომქმედნი სამეურნ

ორგანო, რომელნიც ამ საუკუნის ნახევარში იქმნა დაწესებული და მას შემდეგ დღემდის არაფრით არ შეცვლილან, მეტად დაძველებულა და არამც-თუ მთავრობისა და ადგილობრივ მცხოვრებთა მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, არამედ ახლად გამოცემულ კანონების მიერ აღნიშნულს საგნებსაც ვეღარ ემსახურება რიგიანად.

„იმ გუბერნიების მმართველ-გამგეობის წესსა და რიგს, რომელთაც ჯერ ეს ცვლილება არ შეხებიათ და სადაც ჯერ ერობის დებულება არ არის შემოღებული, არა ერთხელ მიუქცევიათ უმაღლესის მთავრობის ყურადღება; ამისათვის სახელმწიფო საბჭომ, სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტთან ერთად საჭიროდ სცნო მიანდოს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ 1896—1898 წ. საერობო ხარჯთ-აღრიცხვის ვადის გასვლამდე, ვისთანაც ჯერ არს, მოლაპარაკება და მიწერ-მოწერა გამართოს და სახელმწიფო საბჭოს თავისი მოსაზრებანი წარუდგინოს იმ დაწესებულებათა შორის ცვლილებათა შეტანის შესახებ, რომლებიც დღეს საგუბერნიო საერობო გარდასახადთა საქმეს განაგებენ და სადაც ჯერ საერობო დაწესებულებანი არ არიან შემოღებულნი, და აგრეთვე—მოსაზრებანი იმ საშუალებათა შესახებ, რომელსაც გუბერნიებში სასოფლო მეურნეობის რიგიანსა და სწორე ნიადაგზედ დაყენების საქმეს შეუძლიან ხელი შეუწყოს. ამისათვის, ჰგონებს რა შინაგან საქმეთა მინისტრი, რომ სტავროპოლის გუბერნიაში 1890 წლის ერობათა დაწესებულების დებულების შემოღება დროითია და შეიძლება ეს საგანი გარჩეულ იქმნას, მიჰმართავს იგი კავკასიის უმაღლესს მთავრობას, აცნობოს თავისი აზრი როგორც უმაღლესმა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ, ისე საგუბერნიო მმართველობამ,—შეიძლება, თუ არა სტავროპოლის გუბერნიაში ხსენებული კანონი იქმნას შემოღებული, ან თუ შესაძლებელია, როგორ უნდა იქმნას იგი შემოღებული—სავსებით თუ, ადგილობრივ პირობათა და გარემოებათა მიხედვით, რაიმე ცვლილებანი დასჭირდება. ამავე საგნის შესახებ სენატორმა გორემიკინმა შემდეგი ცნობები მოითხოვა: ა) რამდენი მცხოვრებია მთელს გუბერნიაში და ადგილ-მდებარეობითა და სარწმუნოებით როგორ განიყოფებიან; ბ) როგორ არის მამულ-დედული კერძო მემამულეთა და სოფლის საზოგადოებათა შორის განაწილებული, ან რამდენი დღიური მიწა უნდა ჰქონდეს მცხოვრებს, რომ საარჩევანო კრებებზედ მონაწილეობის მიღების უფლება მიიღოს; გ) რამდენად დიდია რიცხვი იმ კაცთა დაწესებულებათა, რომელთაც საერობო საარჩევანო კრებებზედ მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ, რამდენია ისეთი თავად-აზნაური, რომელთაც პირველს კრებაზედ მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ და რამდენია ისეთი, რომელთაც მეორე კრებაზედ შეუძლიანთ მონაწილეობის მიღება; დ) რამდენად დიდია რიცხვი იმ სოფლის საზოგადოებათა, რომელთაც, საერობო დაწესებულებათა დებულების მე-51 მუხლის ძალით, უფლება ეძლევათ სოფლის საზოგადოებათაგან ხმოსანი ამოირჩიონ, ან როგორ განიყოფებიან სარწმუნოებით, და ე) საზოგადოდ ყველა ის სტატისტიკური ცნობა, რომელიც ხსენებულს გუბერნიაში ერობის წეს-წყობილების შემოღების შესახების საგნის განსახილველად საჭიროა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ეს მოწერილობა საკმაოდ ნათლად ამტკიცებს, უმაღლესი მთავრობა რამდენად თანაგრძნობით ეპყრობა ხსენებულ დაწესებულებათა სახელმწიფოს ყველა გუბერნიაში შემოღებას. ერთი-ღაა ეხლა სასურველი: ტფილისის თავად-აზნაურობის-მიერ ამორჩეული კომისსია რაც შეიძლება დროზედ შეუდგეს ჩვენში საერობო დაწესებულებათა შემოღების პროექტის შემუშავებას, რასაკვირველია, იმ გარემოებათა მიხედვით, რომელიც ადგილობრივს ცხოვრებასა და გარემოებათ უფრო შეეფერება და თავად-აზნაურობაც იმ დრომდის საკმაოდ კარგად დაუკვირდეს, რამდენად საჭიროა ამ ჟამად ჩვენთვის ერობა, ან რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან, რომ მომავალს სათავად-აზნაურო კრებაზედ მაინც სასურველად გარდასწყდეს ეს დროისა და გარემოების მიერ აუცილებლივ მისაღებად წარმოშობილი საგანი.

---

# რუსეთი

—

გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი და იმპერატრიცა ავგუსტა 26 ივლისს მიდიან პეტერბურგს. სხვათა შორის, გერმანიის იმპერატორის ამალაში იქნება საიმპერიო კანცლერი თავადი ჰოენლოე და ახლად დანიშნული სტატს-სეკრეტარი გარეშე საქმეებისა ბ-ნი ფონ-ბიულოვი. გერმანიის იმპერატორი რუსეთში სამს დღეს დაჰყოფს.

— კარგა ხანია აღძრული იყო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ განკარგებულ იქმნას ღვინის გადატანის საქმე რკინის გზით. ეხლა გზათა უწყების სამინისტროს დაუდგენია, შემოიღოს რკინის გზებზედ ახალი ვაგონები, რომელიც განსაკუთრებით ღვინის გადასაზიდად იქნება მოწყობილი.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს ამბავი მისვლია, რომ ზოგიერთ გუბერნიაში საერობო სკოლების მასწავლებლები იძულებულ არიან ჯამაგირის მისაღებად მაზრის სამმართველოში წივიდნენ ხოლმე, რის გამოც ყოველ თვე დიდი დრო ეკარგებათო. სამინისტროს ასეთი წესი არაფრად მოუწონებია და განზრახვა აქვს, განკარგულება მოახდინოს, რომ ამიერიდგან საერობო სკოლების მასწავლებლებს ჯამაგირი ფოსტით გაეგზავნოს ხოლმე.

— პეტერბურგის სტამბის პატრონებს განზრახვა აქვთ თურმე შეაგროვონ საჭირო ფული და იყიდონ, ან თითონ ააგონ სახლი ავადმყოფ და შრომით დაღლის ასოთ-ამწყობებისთვის, რომ თავ-შესაფარი ჰქონდეთ, ვიდრე ისევ შეიძლებენ შრომას.

— ივნისის დამლევს მოსკოვიდგან კავკასიაში აპირებენ წამოსვლას მრავალნი ფარმაცევტები (მცოდნენი აფთიაქის საქმისა და წამლების გაკეთებისა) და განზრახვა აქვთ შეაგროვონ სამკურნალო ბალახები და გარდა ამისა მიაქციონ თავისი ყურადღება სამკურნალო წყლებს.

---

# უცხოეთი

—

**კრიტი.** კრიტის საქმეების შესახებ საზღვარ-გარეთის გაზეთებში ყოველ დღე ათასგვარი მოსაზრებაა ხოლმე გამოთქმული. ხშირად ერთი და იგივე გაზეთი, დღეს რომ ერთს ამბობს, მეორე დღეს პირდაპირ იმის წინააღმდეგს გაიძახის. ყველა ეს იმას ამტკიცებს, რომ კრიტის საქმეების დალაგება და დაწყობა, კუნძულზედ მშვიდობიანობის დამყარება აგრე მალე არ მოხდება და ჯერ კიდევ კარგა ხანი გაივლის, ვიდრე სახელმწიფონი ამ საქმეს ბოლოს მოუღებენ. ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ კრიტის მეამბოხენი არ დაწყნარებულან და, როგორც კანეიდგან იუწყებიან, ისინი მხოლოდ ოსმალეთ-საბერძნეთს შორის ზავის ჩამოგდებას უცდიან. აშკარაა ამის შემდეგ, რომ კრიტი ჯერ კიდევ ბევრს საწვალებელს და თავში სახეთქს გაუჩენს ევროპის დიპლომატებს.

ასე, თუ ისე, ევროპა, რასაკვირველია, თავისას არ დაიშლის და, მალე თუ არა, გვიან მაინც გაათავებს კრიტის საქმეებს. როგორც წინადაც გვქონდა მოხსენებული, ევროპის სახელმწიფოთ უკვე გადაწყვიტეს კრიტში თვით-მმართველობის შემოღება. ზოგიერთ გაზეთების სიტყვით, კუნძული კრიტი ავტონომიურ სამთავროდ იქმნება გამოცხადებული. მთავარს ევროპის სახელმწიფონი ამოარჩევენ და სულთანმაკი უნდა დაამტკიცოს მხოლოდ. საერობო კრების დეპუტატებად იქმნებიან როგორც ქრისტიანენი, აგრეთვე მაჰმადიანები, მაგრამ უმეტესობა ქრისტიანები უნდა იყვნენ. ჟანდარმების რაზმი პირველ ხანს უცხო ერისაგან შესდგება, ხოლო შემდეგ კუნძულის მკვიდრნიც მიიღებიან. ფინანსების გასაუმჯობესებლად სესხი იქმნება აღებული სახელმწიფოთა თავდებობით. სახელმწიფო მამულებიდგან ყოველგვარი შემოსავალი კუნძულის, ხაზინას მიემატება. ყოველ წელიწადს კრიტმა სულთანის სასარგებლოდ 10,000 ოსმალური ლირა ხარკი უნდა გადაიხადოს.

ევროპის სახელმწიფოთ იმედი აქვთ, რომ კრიტის მცხოვრებნი ამ პირობებს მიიღებენ და საბერძნეთთან შეერთების უარს განაცხადებენ.

—

**ინგლისი.** დედოფალ ვიქტორიას სამოცის წლის იუბილეის დღესასწაულები უკვე დასრულდა. ხალხი თანდათან იშლება და ლონდონი ჩვეულებრივს სანახაობას იღებს. ინგლისის გაზეთები ძალიან გახარებულნი არიან, რომ დღესასწაულებმა მშვენივრად ჩაიარა და არავითარი არეულობა ან უწესოება არ მოხდა. ყველას ეგონა, რომ იმოდენა სახელმწიფოში, რამოდენაც ინგლისია, უეჭველად აღმოჩნდებიან უკმაყოფილონი და რაიმე უწესოებას ჩაიდენენო, მაგრამ ყოველივე ტყუილი გამოდგა და იუბილეიმ ჩინებულად ჩაიარა. ერთად-ერთი ირლანდია არ თანაუგრძნობდა ამ იუბილეს და იმის წინააღმდეგ მანიფესტაციაც მოახდინა დუბლინში, მაგრამ უწესოება არაფერი ჩაუდენია.

---

## წერილი კონსტანტინეპოლიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

მრავალ-წამებულის კონსტანტინეპოლის მცხოვრებელნი ჯერ კიდევ განაგრძობენ ლუკმა პურისათვის ბრძოლას. თუ კიდევ, როგორც ამბობენ, ხუთ წლამდის გასტანა ამ მდგომარეობამ, ნამდვილად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მეტი ნაწილი „მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა“, სიმშილ-წყურვილის მსხვერპლნი გახდება. ყველა ქარხნებში, რომლებიც-კი ევროპიელთა ხელშია, ადგილობრივი მცხოვრები საქმეს ვერა ჰშოულობს, რადგან ევროპიელი მუშები ჰმუშაობენ. ზოგი წვრილმანი ქარხნები, როგორც სამჭედლოები, სადურგლოები, საბეჭდავები და სხვა, ნახევარზედ მეტი დაიკეტა. მეურნეობა ოსმალეთში ხომ ჯერ ცოტაზედაც არ წაფორთხებულა. აქაური ქრისტიანნი ცოტა ღვინით იბრუნებდნენ სულს, ჰყიდდნენ საზღვარ-გარეთ და ფულს იგებდნენ. ეხლა-კი ეს საშუალებაც მოისპო, ევროპა ოსმალეთის ღვინოს აღარა ყიდულობს. საზოგადოდ ვაჭრობა სომეხთა აჯანყების შემდეგ სრულიად დაეცა. ეხლა კიდევ ბერძენ-ოსმალთა ომმა ერთი ათად გაამწვავა საწყალის ხალხის მდგომარეობა. ოსმალეთის ყოველივე აღებ-მიცემობა ქრისტიანთა ხელში იყო. სომეხსა და ბერძენს ვაჭრობაში პირველი ადგილი ეჭირათ. ჯერ სომხების დაფანტვამ და მერე ბერძენთა გაგზავნამ აქედგან, მათი უპატრონოდ დატოვებული ცოლ-შვილი მათხოვრებად გარდაჰქმნა.

უშველებელი საავადმყოფო, მათხოვართა და უძლურთა ქსენონი, რომელიც აშენებულია სულთან ჰამიდის მეოხებით, ერთ უკეთესს რეფორმულ საგნად უნდა ჩაითვალოს, რადგან აქ ყველა გვარისა და რჯულის წარმომადგენლები არიან და ძალიან პატიოსნადაც ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას, მხოლოდ რომელს ერთს გასწვდება, ისე გავსებულია აქაურობა მათხოვრებით. კაცს გული უკვდება, როცა ჰხედავს ხიდის ყურზედ დაყრილს მთელს ოჯახობას, ბავშვებს, მოხუცებულთ და ახალგაზდა ქალებს. „ღვთის გულისთვის, შეგვეწიეთო!“ გაიძახიან, მაგრამ რა უნდა მისცე, ან რომელს, საიდგან... ხან-და-ხან უჯავრდები კიდეც და გგონია, რომ იმას შენზედ მეტი აქვს, ჰხედავ-რა, რომ ზოგიერთნი მოწყალებას აწვდიან. ოსმალნი საზოგადოდ მოწყალენი არიან.

— შენ, ჩემო ძმაო და დაო, გატყობ ახალგაზდა ხარ, იმუშავე და ირჩინე თავი, ეუბნები ხელ-გამოწვდილ ახალგაზდა კაცს ან ქალს.

— სად ვიმუშაო, ბატონო, წამიყვანე, მომეცი საქმე და ვიმუშავებ, განა მე-კი მეხალისება მათხოვრობა? მაგრამ რა ვქნა, ქმარი არეულობის დროს მომიკლეს, ან საბერძნეთში გაჰგზავნეს და ჩვენ დავრჩით ასე საცოდავადაო, მოგითხრობენ თავიანთს გაჭირვებას.

უკან დაბრუნებულს ბერძნებს, ჯერ კიდევ არ უშვებენ. შაბათს 8 ივნისს, მომხდარ სხდომაზედ თოფ-ხანაში ოსმალეთის მთავრობამ უარი სთქვა თესალიის უკან დაბრუნებაზედაო, ამბობენ. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც თესალიიდან ყოველ დღე ამბები მოდის, რომ ჯარი არაფრის გულისთვის უკან არ დაბრუნდება, სისხლით აღებულ ადგილებს არ დასტოვებსო. თვით ადგილობრივნი მკვიდრნიც არ არიან, როგორც ამბობენ, ჯარის დაბრუნების თანახმად. საზოგადოდ ოსმალი ძლიერ ცუდის თვალით უყურებს თესალიის დათმობის საქმეს. „ეს არ შეიძლება, ჩვენ ამას ვერ მოვითმენთ; თუ ომით აღებული ადგილები არ დაგვრჩა, ან სულ გავწყდებით და ან ვინც ომის მიზეზია, ხეირს არ დავაყრითო“. აქა-იქ მდაბიო ხალხში გაიგონებთ, რომ „ამ გიაურებს გაწყვეტა სჭირია, თორემ საშველი არ გვექნებაო“.

ომის შეჩერებით კონსტანტინეპოლს სიცოცხლის ნიშანი თან-და-თან ეტყობა. ქუჩებსა და ბაღებში აირია ხალხი, „კე“-ზეს ახალ სანავთსადგუროზედ დაიმართა ყავახანები, მაგრამ უბედურს კაცს ქვა აღმართში მოეწევაო. უმტყუნა ყველას ბედმა. სამშაბათს, ინგლისის დედოფლის დღესასწაულის დღეს, ზარბაზნები დასცალეს და შუშხუნები აუშვეს. ბინდისას მოხდა ეს ამბავი, როდესაც ბაღები და ყავახანები ხალხით სავსე იყო და გადირივნენ ყველანი. შეიქმნა ჩოჩქოლი, „ჰარიქა, თავს უშველეთო!“ დაიძახა ვიღაცა ღვთისაგან შეჩვენებულმა და ხალხი მიიფანტ-მოიფანტა, აირია მონასტერი, შეიქმნა ყვირილი კაცებისა და წიოკობა ქალებისა. დაიკეტა მაშინვე დუქნები, მაღაზიები და სახლებში ჩაიკეტნენ ყველანი. სიჩქარისა და თავ-გზა აბნევისა გამო რამდენი სარკმელი გატყდა, კარები დაიმტვრა და ვინ იცის კიდევ რა არ მოხდა. ამ მიხლა-მოხლამ ხალხი უფრო გადარია. პოლიცია გაშტერებული იყო, ჯარის-კაცები, რომლებიც სომეხთა ამბოხების შემდეგ დაიწყეს სიარული ქუჩებში, არხეინად იყვნენ: ზარბაზნების ხმა კიდევ ისმოდა, ხალხი ჰყვიროდა, დუქნებს საჩქაროდ ჰკეტავდნენ, პოლიცია ამშვიდებდა, მაგრამ ხალხი გაიძახოდა, ინგლისის გემები შემოვიდნენ, რევოლიუცია დაიწყოო!..

მაკედონიიდგან ყოველ დღე სამწუხარო ამბები მოდის. პატარ-პატარა შეტაკება კიდევ მომხდარა, რამდენიმე მეამბოხეთაგანი და მათი მოთავენი შეუპყრიათ. ამ რამდენისამე დღის წინად მეამბოხეთა მოთავე აქაც ყოფილა და თავისუფლად წასულა თურმე ვარნაში. ბოლგართა და ოსმალთა შეტაკებას დღითი დღე მოელიან. საკვირველი ის არის, რომ ოსმალები მაკედონიის აჯანყების სურვილს რუსეთსაც სდებენ ბრალად, რადგან იმედი რომ არა ჰქონდეთ, ვერას გაჰბედავენო. მარტო ბოლგარიას კი არ ასახელებენ, მთელ ნახევარ ბალკანეთის მცხოვრებლებსა, და არც რაიმე მნიშვნელობას აძლევენ. ევროპის ზოგიერთი სახელმწიფონი და უფრო-კი გერმანია და ინგლისი ამ ბოლო დროს თანაგრძნობით ეკიდება ოსმალეთს, ოსმალეთი-კი რუსეთს უფრო ენდობაო, მითხრა ერთმა საპატიო ოსმალმა— რადგან რუსეთი პირდაპირ გველაპარაკებაო და ევროპის სახელმწიფოებისავით ორ-პირი არ არისო.

— ეხლა რომ ხმა დადის, ვითომ ინგლის-ოსმალეთი ერთად უნდა ეომონ რუსეთსაო, ამისას რას ბრძანებთ-მეთქი? ვკითხე.

— შეიძლება ეგ მოხდეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანიას ჩვენი მხარე ეჭირება.

თუ ეს სამი უშველებელი სახელმწიფო შეერთდა, მაშინ ყოველივე ოცნებად დარჩება. ყველა ესენი დღეს ვითომ ჩვენი მომხრენი არიან, მაგრამ არავისა სჯერა. ყველანი თავიანთს სარგებლობას ეძებენ და ინგლისიც ხომ ასეთია. ნათქვამია, „აქ ·ემები წაიკიდნენ და კოზაკი შუაში გამოჭყლიტესო“. ეგევე მოელის პატარა და სუსტს სამეფოებს ჩვენიანად. ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ევროპა შეთანხმდეს, თორემ ეს საყოველთაო ამბოხებას გამოიწვევს ოსმალეთში და საზოგადოდ მაჰმადიანთა შორის. ჩვენ კარგად გვესმის კაცობრიობისა და მეტადრე ევროპის საერო აზრი. ჩვენ ეროვნული განკერძოება არა გვაქვს·რა, ვინც მაჰმადიანია, ის თათარია და ვინც თათარია, ის მაჰმადიანია. ევროპაში-კი ასე როდია. იქ თუმცა ყველა ქრისტიანია, მაგრამ ერთი მეორისაგან-კი ძლიერ განირჩევიან. ინგლისელი ფრანგს არ იგუებს და გერმანელი ორივეს, რუსი კიდევ ყველას. ეს ხომ ჩვენთვის ცხადი საბუთია, დავინახოთ საით გადავწიოთ სასწორი, ან როდის და როგორ. ვერასოდეს ჩვენ დაყოფას ვერ განახორციელებენ და არც ასე ადვილია. მაჰმადის სარწმუნოებისა 567 მილიონია და ყველას წინამძღოლი დღეს სულთანი ჰამიდია. ვგონებ, შეამჩნიეთ, გუშინდელ მოძრაობის დროს რამდენი იდგნენ თავისუფალ ჯარისანი ჯოხებით ხელში და დროს ელოდნენ. ეს რისი ნიშანია? იმისი, რომ დღეს ჩვენი ხალხი ყველგან მზად არის და მხოლოდ მიზეზს ეძებს. თქვენ იტყვით, რომ ეს არც თქვენთვის იქნება კარგი, რომ ქრისტიანები ამოწყვიტოთ. მართალია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ევროპას რაცა ჰსურს, იმას იქმს. ჰხედავთ, ყველამ თავი წამოჰყო, ყველა რაღაცას თხოულობს, ყველა რაღაცა პირობებსა და საბუთებს აჩენს. რა საქმე აქვს ირლანდიას, ელზას-ლოტარინგიას, ტრიესტსა, ტრიენტსა, ხორვატიას, ჩეხიას და უნგრეთს, მაგრამ მაინც ქადილით გაიძახიან, ჩვენც პირობა გვაქვს ჩვენს უზენაესს მთავრობასთან, ჩვენც ჩვენსას ვთხოულობთო. რა არის ეს ახალი გეგმა ევროპისა საერთოდ და ავსტრიისა ცალკედ ოსმალეთის შესახებ. ევროპა ამბობს, რომ სტამბოლი ფედერატიულ მთავრობის მოთავე უნდა გახდეს, მის გარშემო მდებარე ადგილები საოსმალეთო, არა-საოსმალეთო, მთლად ბალკანეთითურთ შეერთდეს და აშენდეს ახალი ბიზანტია შეერთებულის შტატებივითაო. მეორე— ავსტრია-კი აქედგან განდევნას გვიპირებს აზიაში, იქ, სადაც სომხები ისეც ტირილით ევედრებიან ევროპას, „მოგვაშორეთ თავიდგან ოსმალეთი“ და ევროპაც გვეუბნება,— „ცვლილებანი, ცვლილებანი შემოიღეო“. ის რაღა ა·ის, რომ ვენგრია ცალკე მიიწევს, მაკედონია თავისუფლებას ეძებს, კრიტი შემოუსალტავთ... ავსტრიას უნდა თავისი სახელი საისტორიო სახელად გარდაჰქმნას „ოსტრა“-დ და გერმანიისებური სამეფო დააარსოს სტამბოლში, დაარქვას ახალი შეერთებული „ოსტრია“. ერთის სიტყვით, ვისაც ან ახა·ლი, ან ძველი საბუთი ხელში აქვს, ვისაც ძარღვებში სისხლი უდუღს, ყველა თავისას თხოულობს და ჩვენ-კი გვეუბნებიან, თქვენსაზედ ხელი აიღეთო. ვერ მივართვით! სთქვა გაცხარებულმა მოხუცმა და გადისვა შუბლზედ ხელი: „ალლახ ქერიმ“-ო! (ღმერთი მოწყალეაო!)

ბოლგარიის გაზეთი „სტრანჯა“ საშინლად ჰლანძღავს ფილიპოპოლის პრეფექტს, რომელსაც მონაწილეობა მიუღია ვენგრიელ სოფიო სიმონსის მოკვლაში. ბონჩევს გარდა, ნეველიჩს კიდევ ჰყოლია ამ საქმეში მონაწილე ვიღაც სტეფანე ბორჩიკი. გაზეთი ამბობს, ეს ის ბორჩიკია, რომელმაც გენერალ სკობელევის დედა მოჰკლაო. ნეველიჩს არა ერთი მკვლელობა ჩაუდენია თურმე. გაზეთი დარწმუნებულია, რომ სტამბულოვისა, ბელჩევისა და ულკოვიჩის მკვლელობაში ესენიც ერივნენ და თვით მთავარიც ურევია ამ საქმეშიო. დარწმუნებულნი ვართო, ამბობს „სტრანჯა“, რომ ამ საქმიდგან ბევრი საიდუმლო გამოირკვევა, თუ ესეც არ ჩააფუჩეჩესო.

დღეს კიდევ დანიშნულია ბჭობა თოფხანაში. დარი აქ მშვენიერია.

იასე რაჭველი

### სასამართლოს მატიანე

—

გუშინ-წინ, 20 ივნისს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა სტეფანე მურავლიოვის, ილია ნოსოვის, სარდიონ ხეჩიძის და ალექსანდრე ბერიტაშვილის საქმე, რომელთაც ჰბრალდებათ 21 სექტემბერს 1896 წლის საქონლის მატარებლის გაქურდვა.

ოლქის სასამართლომ ყველანი დამნაშავედ სცნო და გადაუწყვიტა მურავლიოვს, ნოსოვს და ხეჩიძეს ყველა უფლებათა ჩამორთმევა და ტუსაღთა გამასწორებელ განყოფილებაში ორ-ნახევარის თვით დაპატიმრება, ხოლო ხეჩიძეს—რვა თვით ციხეში დამწყვდევა.

### დამაკვირდი

რაც სული ჩვენი სხეულისა ჩვენისათვის, იგივეა ღმერთი მსოფლიოსათვის.

* * *

ორჯელ არავის უცხოვრია, თუმცა ბევრია იმისთანა, რომელსაც ერთხელ ცხოვრების უნარიც არა აქვს.

რუკერტი

* * *

იმდენად კნებათა ღელვა არ არის მძიერი, რამდენადაც ადამიანია უძლური.

დუბუა

### ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

დიდი ხანია, რაც მეცნიერნი იმის ფიქრსა და ცდაში არიან. ისეთი მანქანა გამოიგონონ ჰაერში საფრენი, რომ კაცი საითაც მოიწადინებს, იქით წავიდეს მანქანა, მაგრამ აქამდე ყოველივე ცდა ამაოა. ვინ მოსთვლის, რამდენს კაცს შეუწირავს თავი ამ მანქანის მოგონებისთვის. უფრო საკვირველი ის არის, რომ ამ გვარ მანქანის ყველა გამომგონელს ჰგონია, ჩემი მანქანა სხვებისაზედ უკეთესი არისო. დიდი ხანი არ არის, რაც პროფესორმა ლილიენტალმა გაიკეთა ჰაერში საფრენი ფრთები. საუბედუროდ ერთს დღეს ლილიენტალს ფრთა გაუტყდა და ძირს ჩამოვარდა. პროფესორი ცოცხალ მკვდარი ნახეს და იმავე დღეს გარდაიცვალა.

ამ ბოლო დროს კიდევ ჰაერშე საფრენი მანქანა გააკეთა ბერლინის ინჟენერმა ბ-მა ბელფერტმა. ჰაეროსტატი სიგარის მსგავსი იყო. სიგძით 28 ადლი და სიგანით $8^1/_2$. ქვეშ ება ოთხის ადლის სიგძე სუბუქი ნავი. ნავს წინ გამართული ჰქონდა იმ გვარი ვინტი, როგორიც ცეცხლის გემსა აქვს. ვინტსა ჰქონდა ორი ფრთა ძლიერ სუბუქის ლითონისა, ალიუმინის რომ ეძახიან. ფრთის სიგანე $2^1/_2$ ადლი იყო. ნავის ქვეშ გამართული იყო ისეთივე ვინტი, რომლის შემწეობითაც შესაძლებელი იყო ჰაეროსტატის ზევით ასვლა და ჩამოსვლა. ფრთებს ატრიალებდა ორთქლის მანქანა ბენზინის შემწეობით. ნავის ბოლოს გამართული იყო განიერი ფარი, რომლის შემწეობითაც, როგორც ორთაყვირით, შესაძლებელი იყო ჰაეროსტატის აქეთ-იქით მიბრუნება. ამ ერთის თვის წინად ბელფერტი თვისის ჰაეროსტატით ბერლინიდგან უნდა წასულიყო 20 ვერსზედ დაშორებულ სოფელ შტეგლიცამდე, მაგრამ ჰაერში ავიდა თუ არა, ერთი ფრთა გაუტყდა ჰაეროსტატს და ძირს დაეშვა. 12 ივნისს ბელფერტმა განიზრახა თვისის ჰაეროსტატით ბერლინიდგან სოფელ რიკსდორფამდე წასვლა და იქიდგან ისევ ბერლინში დაბრუნება. საღამოს 7 საათზედ ჰაეროსტატი სწრაფად ავიდა 800 ადლის სიმაღლეზედ და გასწია დანიშნულ სოფლისაკენ. ჰაეროსტატის გემზედ ისხდნენ ინჟენერი ბელფერტი და მეხანიკი რობერტ კრაბე. პირველად კარგად იყო საქმე. ჰაეროსტატმა საკმაო სიჩქარით გასწია სოფელ რიკსდორფისაკენ მიუხედავად იმისა, რომ ქარი სწორედ ამ მხრიდგან უბერავდა. ცოტახანს შემდეგ, გამოჩნდა ალი, მოედო მთელს ჰაეროსტატს და ნავი სისწრაფით ძირს წამოვიდა და დაეცა დედა მიწაზედ. ბელფერტისა და რობერტ კრაბესი გვამები დამწვარი იპოვნეს. სამხედრო მთავრობამ თვისის ხარჯით დაასაფლავა ორთავეს გვამი და მათი საფლავები მშვენიერის გვირგვინებით შეამკო. რა მიზეზი იყო, რომ ჰაეროსტატს ცეცხლი მოედო, რაღა თქმა უნდა დაბეჯითებით არავინ იცის.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

20 ივნისი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: სახელმწიფო საბჭოს დაწესებულების მე-11 მუხლის ძალით, ჩვენ საჭიროდ ვცანით საბჭოს დეპარტამენტის თავმჯდომარე და წევრების ისევე ამა თანამდებობაზედ დამტკიცება მდგომარე წლის მეორე ნახევარისათვისაც.

**ვარშავა.** 19 ივნისს, ნაშუადღევის 6 საათზედ, მოვიდა აქ საგანგებო მატარებლით სიამის მეფე. ბაქანზედ იდგა საპატიო დარაჯი მუსიკით და დროშით. როდესაც მატარებელი გაჩერდა, მუსიკამ სიამის საერო საგალობელი დაუკრა. როდესაც მეფე ვაგონიდგან გამოვიდა, მიეგებნენ: უგან·ათ. თავ. იმერეთინსკი, გენერლობა, წარჩინებულნი, პეტერბურგიდგან მოსული ვიცე ადმირალი გენერალ-ადიუტანტი არსენიევი, როტმისტრი თავ. ობოლენსკი, პორუჩიკი შერემეტიევი და სიამის ელჩი. მეფე ამალითურთ და ყუბანის ასის ყაზახის თანხლებით ლოზენს წავიდა ეტლით, ხოლო იქიდგან დიდ თეატრში წაბრძანდა სადღესასწაულო წარმოდგენაზედ დასასწრებლად.

**პარიჟი.** ოფიციალურ ცნობიდგანა სჩანს, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი წავა რუსეთში ზღვით აგვისტოს მეორე ნახევარს.

გაზეთები იუწყებიან, რომ პრეზიდენტი შერბურგიდგან „Dupuy de Lome“-ს ჯავშნიან ხომალდით გამოვა. „Matin“-ი ამბობს, რომ პრეზიდენტს თან გაჰყვებიან მინისრი ჰანოტო, გენერლები ბუადეფრი და გაგრონი და სამხედრო კაბინეტის რამდენიმე აფიცერი. ამ კვირის განმავლობაში პარლამენტს მოსთხოვენ ამ მოგზაურობიათვის საჭირო თანხას.

**ბერლინი.** „საიმპერიო მაჩვენებელში“ გამოცხადებულია, რომ ბეტტიხარი სამსახურიდგან გამოვიდა და დაინიშნენ: პოსადოვსკი—შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატს-სეკრეტრად და დროებით იმპერიის კანცლერის თანამდებობის აღმასრულებლად, მიკელი—პრუსიის მინისტრის საბჭოს ვიცე-პრეზიდენტად დ გენერალი პოდბელსკი—იმპერიის საფოსტო საქმეთა სტატს-სეკრეტრად.

**კალკუტა.** რადგანაც ხმა გავრცელდა, რომ მეჩეთი შეჰბღალესო, ჩიტპურში მთელი დღე უწესოება იყო. პოლიციამ ხალხი ვერ გაჰფანტა. თითქმის ყველა ევროპიელი აფიცერი დასჰრეს. ორი ინგლისელი ინჟინერი მძიმედ არის ლაჰრილი. ჯარია დაბარებული.

21 ივნისი.

(დეპეშა მიღებულია ღამის 11 საათზსა და 35 წუთზე).

**ვარშავა** 20 ივნისს, შუადღისას, მეფემ თავადი იმერეტინსკი ინახულა. დილის 10 საათზედ მოკოტოვის მინდორზედ აღლუმი და ყუბანის ყაზახთა ჯირითი იყო გამართული; აგრეთვე ჰაეროსტატი აუშვეს. შემდეგ ბაღსა და ქალაქში გაისეირნეს. სეირნობის შემდეგ საუზმე ყო გამართული ლაზენკაში. საღამოს 6 საათზედ მეფე და ჯარების უფროსი სარდალი ვოკზალზედ წაბრძანდნენ. 9 საათსა და 25 წამზედ მეფე გენერალ-გუბერნატორსა და იქ დამსწრე სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთ სიყვარულით გამოემშვიდობა და $6^1/_2$ სათზედ პეტერბურგს წაბრძანდა.

**კონსტანტინეპოლი.** 20 ივნისს, ელჩებს ბჭობა ჰქონდათ. მშვიდობიანობის გარემოებათა შესახებ მეათე სხდომა შაბათისთვის იქმნა გადადებული. მოლაპარაკების ესრეთი შეგვიანება ადგილობრივ ჩვეულებათა და სხვა და სხვა ინტერესების ბრალია. იმედია მორიგების საქმე მალე გარდაწყდება. შეიძლება სამინისტრო გამოიცვალოს.

**ლონდონი**. «სტანდარდი» ს ატყობინებენ დეპეშით: „ეთხემ ფაშამ სამხედრო მინისტრს აცნობა, რომ მთავარ-სარდლობის წოდებაზედ უარს ამბობს, რადგანაც, განზრახულ შეთანხმებისა გამო ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის, იმედი თურმე არა აქვს მხედრობაში რაგინდა წესი დაიცვას.

პეტერბურგის ბირჟა, 17 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | $204^1/_4$ |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | $100^3/_4$ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $99^1/_2$ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | $101^3/_8$ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $99^3/_4$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | $99^1/_8$ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | 282 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | 244 |


## განცხადებანი




(11—მ.—1)

იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის უსინათლოთათვის სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭოს კანცელარია 12 ამა ივნისიდგან მოთავსებულია სამხედრო ოლქის საბჭოს კანცელარიასთან, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე. ვისაც რაიმე საქმე აქვს, შეუძლიან მიჰმართოს საბჭოს წევრს-სეკრეტარს ნ. ა. მარკს ყოველ დღე დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 6 საათიდგან 7 საათამდე,

(3—უ.—2)

ახლად გამოვიდა და ისყიდება

**იოანე მოწყალე**

და

**ცხოვრება მისი** 1 სურათით.

გამოცემა უდაბურ წყალ-წმიდის ძმობისა, თარგმანი თ. სახოკიასი. წიგნი 55 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში და მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბაში.

(3—120—3)